პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 190 (5291) | შაბათი, 20 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ხელმძღვანელ პარტმუშაკთა კადრების სამჭედლო (პოლიტიკა)

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია:

საინფორმაციო ცნობები კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 19 აგვისტოს სხდომებისა; ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 19 აგვისტოს სხდომათა დღიური; ამხ. თ. მ. ბირკაძის სიტყვა (1-ლი და მე-2 გვ.)

საბჭოთა ავიაციის დღესასწაული.—18 აგვისტო ტუშინოს აეროდრომზე

ი. ურუშაძე — საბამოცემლო გებმები ვადაზე უნდა შესრულდეს (მე-2 გვ.)

ალექსანდრა მენაბდე — დიდი სტალინის მეთვალყურეობით განხორციელების გზით (მე-3 გვ.)

თბილისის აეროდრომზე (მე-4 გვ.).

უცხოეთში:

გერმანელი ფაშისტები ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმას ამზადებენ (მე-4 გვ.)

იტალიელი ინტერვენტები ესპანეთიდან წასვლას არ ფიქრობენ (მე-4 გვ.)

ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.).

ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელ პარტმუშაკთა კადრების სამჭედლო

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებმა ხელი შეუწყო ახალი კადრების, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანების დაწინაურებას პარტიულ ხელმძღვანელ სამუშაოებზე. საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობამდე საანგარიშო პერიოდში საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველ, მეორე და მესამე მდივნებად დაწინაურებულ იქნა 219 კაცი, ხოლო პარტკომის მდივნებად, პარტორგებად და მათ მოადგილეებად—2128 კაცი.

ახალი პარტიული ხელმძღვანელები უდიდესი ენტუზიაზმით შეუდგნენ მუშაობას. მცირე გამონაკლისს გარდა ყველა ახლად დაწინაურებულმა მუშაკმა გაამართლა თავის თავი. მაგრამ ერთი რამ ყველასათვის ცხადია—მეტად რთულია პარტიული მუშაკის საქმიანობა ახალ პირობებში. იყო პოლიტიკური ხელმძღვანელი, ეს ნიშნავს—კარგად იცოდე პარტიის ისტორია, ერკვეოდე საშინაო და საერთაშორისო საკითხებში, კარგად იყო დაუფლებული პარტიული მუშაობის რთულ ტექნიკას, შეუცდომლად სწყვეტდე ყველა საკითხს. ხოლო ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძნელია ახლად დაწინაურებული მუშაკისათვის, თუ მას არ ეხმარებიან, თუ მას არ ასწავლიან პარტიული მუშაობის ტექნიკას.

„თუ დაწინაურებულ ადამიანებს, — ამბობდა ამხანაგი ლ. ბერია საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე,—არ გაეწევა ყოველდღიური სისტემატური დახმარება, თუ მათ არ ასწავლიან, არ ამოწმებენ და არ უწევენ კონტროლს, მაშინ ახლად დაწინაურებული მუშაკი ადვილად შეიძლება დაიბნეს, ჩაშალოს მუშაობა და თვითონაც ჩავარდეს“. ახლად დაწინაურებული ხელმძღვანელი კადრების ძოფიქრებული იდეური აღზრდა, თეორიული მომზადება, ამხანაგ სტალინის მითითებით, პრაქტიკულ მუშაობის გარდა უნდა ხდებოდეს სპეციალური კურსების მოწყობით. პარტიულ მეთაურთა კადრების იდეოლოგიური აღზრდისა და გამოწრთობის საკითხზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგი სტალინი ამბობდა: „მე ვფიქრობ, ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადასჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს“.

ამხანაგ სტალინის ამ მითითების საფუძველზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაცხოველებული მუშაობა გაშალა ხელმძღვანელ პარტმუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად: მიმდინარე წელს საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში—თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და სხვ. — მოეწყო ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა გადასამზადებელი კურსები, რომლებზეც უკვე გადამზადებული იქნა დაახლოებით 1800 კაცი.

რაიკომთა მეორე და მესამე მდივნების, რაიკომებისა და ქალაქკომების ინსტრუქტორების ორთვიან კურსებზე, რომელიც ჩამოყალიბებულია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან, პირველი ნაკადი დღეს ამთავრებს მუშაობას.

რა მისცა ამ კურსებმა პარტიულ ხელმძღვანელ ამხანაგებს? რა ცოდნითა და გამოცდილებით უბრუნდებიან ისინი თავიანთ სამუშაოებს? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა კურსების მსმენელთა წერილები გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისადმი.

„მე აშკარად ვხედავ, რომ ამ ცოტა ხანში იდეურად გავიზარდე, ბევრ ახალ საკითხში გავერკვიე, პარტიული მუშაობის ტექნიკის „საიდუმლოებას“ ჩავწვდი—ამბობს კურსების მსმენელი, საქ. კ. პ. (ბ) ქვემოსვანეთის რაიკომის მდივანი ამხ. ა. მენაბდე.

— პარტიული მუშაობის მდიდარი გამოცდილება შევიძინე, პარტიულ მუშაკთა გადასამზადებელ ორთვიან კურსებზე — ამბობს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ბაკურაძე და დასძენს, აქ შეძენილ ცოდნას პრაქტიკულად გამოვიყენებ ძირეულ ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახლებურად გარდაქმნის საქმეშიო.

ამ კურსებზე ვისწავლე, თუ როგორ უნდა მოვაწყო პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, როგორ მოვამზადო პარტიული კრება, როგორ დავამყარო ბოლშევიკური წესრიგი პარტიულ სახლში. აქ ისიც კი გვასწავლეს, თუ როგორ უნდა შევადგინო კრების ოქმი,—ამბობს ძირეული პარტორგანიზაციების ქუთაისის კურსების მსმენელი ამხ. კოლუაშვილი.

პარტიული კურსების მუშაობის პირველი შედეგები აუცილებლად დიდია ახლად დაწინაურებულ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მათი კულტურული ჰორიზონტის გაფართოვების საქმეში.

პირველი ნაკადი იმ მუშაკებისა, რომლებმაც დაამთავრეს ხელმძღვანელ პარტიული მუშაკთა კურსები, რაიკომთა 47 მეორე და მესამე მდივანი და 85 ინსტრუქტორი, — მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით, დიდი შთაბეჭდილებებითა და ახალი შემოქმედებითი ენტუზიაზმით შეიარაღებულნი, ამ დღეებში დაუბრუნდებიან თავიანთ სამუშაოებს. ეჭვი არ არის, რომ ისინი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც ამ ორ თვეში პარტიულ კურსებზე შეიძინეს, პრაქტიკულად გამოიყენებენ ყოველდღიურ მუშაობაში და ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით უზრუნველჰყოფენ ყველა იმ ამოცანის განხორციელებას, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობამ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს დაუსახა.

პარტიულ მეთაურთა ახალი კადრების ბოლშევიკურად გადამზადებით, მათი კვალიფიკაციის ამაღლებით, ბოლშევიზმის დაუფლებით კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, გავამახვილოთ ბოლშევიკური სიფხიზლე, მივიღოთ გადამჭრელი ზომები მავნებლობის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის, როგორც სახალხო მეურნეობაში, ისე პარტიულ მუშაობაში.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს სხდომის შესახებ

1938 წლის 19 აგვისტო

გუშინ, 19 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლესი დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეშვიდე სხდომა. დღის 11 საათზე.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

დღის წესრიგშია კამათი „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **პ. ა. ვერშკოვი** (თბილისის 26 კომუნარის სახ. საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ), **ი. ვ. ნოვიკოვი** (შუმერლის საარჩევნო ოლქი, ჩუვაშეთის ასსრ), **ვ. კ. ტრუტნევი** (ყაზანის სასოფლო საარჩევნო ოლქი, თათრეთის ასსრ), **ა. ხ. პეტროვი** (რიბნიცკის საარჩევნო ოლქი, მოლდავეთის ასსრ), **მ. ა. იბრაგიმოვა** (ყაზახის საარჩევნო ოლქი, აზერბაიჯანის სსრ), და **ე. კ. ფედოროვი** (ნაუკატის საარჩევნო ოლქი, ყირგიზეთის სსრ).

დეპუტატ ფედოროვის სიტყვის შემდეგ კამათი სწყდება და ეროვნებათა საბჭო ისმენს მომხსენებლის დეპუტატ **ნ. ა. ბულგანინის** საბოლოო სიტყვას.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონისათვის კენჭისყრისა და მის დამტკიცებაზე. ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონს.

დეპუტატ **ე. ხ. როჩევას** წინადადებით ეროვნებათა საბჭო ღებულობს დადგენილებას — მოისმინოს და განიხილოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე სესიის დღისწესრიგის მეხუთე საკითხი—პროექტი კანონისა „საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ“ და აგრეთვე მოისმინოს მოხსენება დღისწესრიგის მეექვსე საკითხზე—პროექტი კანონისა „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ“.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს სხდომის შესახებ

1938 წლის 19 აგვისტო

გუშინ, 19 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეშვიდე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო.**

დღისწესრიგშია კამათი „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **ა. ე. კორნეიჩუკი** (ზვენიგოროდის საარჩევნო ოლქი, კიევის ოლქი), **გ. ა. ბრატანოვსკი** (ციროვის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი), **ი. ახუნბაბაევი** (ანდიჟანის საარჩევნო ოლქი, უზბეკეთის სსრ), რომლის სიტყვაც წარმოთქმული უზბეკურ ენაზე, შემდეგ რუსულად ითარგმნება, **ვ. ნ. ობრაზცოვი** (რტიშჩევის საარჩევნო ოლქი, სარატოვის ოლქი), **მ. შაგადაევი** (ვარშის საარჩევნო ოლქი, ტაჯიკეთის სსრ), რომლის სიტყვაც წარმოთქმული ტაჯიკურ ენაზე, ითარგმნება რუსულად, **ლ. კ. კარაკულოვი** (კოკპექტის საარჩევნო ოლქი, ყაზახეთის სსრ) და **მ. ი. ალიევი** (ნახჭევნის საარჩევნო ოლქი აზერბაიჯანის სსრ).

დეპუტატ ალიევის სიტყვის შემდეგ კამათი სწყდება და კავშირის საბჭო ისმენს მომხსენებლის—დეპუტატ **ნ. ა. ბულგანინის** საბოლოო სიტყვას.

შემდეგ კავშირის საბჭო გადადის „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონისათვის კენჭისყრაზე და მის დამტკიცებაზე. კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს „კანონს სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარე — დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო** სიტყვას აძლევს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარს ამხ. **ნ. მ. რიჩკოვს.** ამხ. რიჩკოვი აუწყებს სხდომას, რომ „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების“ კანონის პროექტში შეტანილ იქნა ზოგიერთი მუხლი მიღო რამდენადმე განსხვავებული რედაქციით იმ რედაქციისაგან, რომლითაც მიიღო ეს მუხლები კავშირის საბჭომ. ამხ. რიჩკოვს შემოაქვს წინადადება დამტკიცებულ იქნას კანონის აღნიშნული მუხლები ეროვნებათა საბჭოს მიერ მიღებული რედაქციით. კავშირის საბჭო ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

დეპუტატ **ვ. ა. მალიშევის** წინადადებით კავშირის საბჭო ღებულობს დადგენილებას—მოსმენილ და განხილულ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომაზე სესიის დღისწესრიგის მეხუთე საკითხი—პროექტი კანონისა „საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ“, აგრეთვე მოსმენილ იქნას მოხსენება დღისწესრიგის მეექვსე საკითხზე—პროექტი კანონისა „ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ“.

სესიის სხდომათა დღიური

1938 წლის 19 აგვისტო

ეროვნებათა საბჭოში

გუშინ, 19 აგვისტოს, დღისით, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეშვიდე სხდომა.

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

დღის წესრიგშია კამათი „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

პირველი სიტყვა ეძლევა დეპუტატ პ. ა. ვერშკოვს.

—მე მთლიანად და სავსებით მხარს ვუჭერ, — ამბობს იგი,—„სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონის პროექტს, შემოტანილს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ. „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონის პროექტი სავსებით და მთლიანად გამომდინარეობს სტალინური კონსტიტუციიდან, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქეებს აძლევს შრომის, დასვენების, განათლებისა და მოხუცებულობისას მატერიალური უზრუნველყოფის უფლების გარანტიას.

ამხ. ვერშკოვი მოაგონებს სხდომას, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციებში სიტყვაც კი არ არის დაბრუნებული რაიმე გარანტიის შესახებ მშრომელთათვის შრომის, განათლებისა და დასვენების დარგში. ფაშისტური იაპონია განათლების მიზნებისათვის მიმდინარე წელს თავის ბიუჯეტის მხოლოდ 1,8 პროცენტს ხარჯავს. შეიძლება ითქვას, რომ იაპონიის ბიუჯეტის ხარჯის ეს მუხლი დატოვებულია მხოლოდ გარეგნული ფორმისათვის: იაპონიის ბურჟუაზიისთვის ხელსაყრელი რომ დია განათლება მიაღებინოს თავისი ქვეყნის მშრომელებს.

— შორეულ-აღმოსავლეთის საზღვარზე მომხდარი ამბები, —ამბობს ამხ. ვერშკოვი, — ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორ ვაჟკაცურად და გმირულად შეუძლიათ სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს შეასრულონ მოქალაქის მოვალეობა თავისი სოციალისტური სამშობლოს წინაშე. და არავითარი ეჭვი არ არის, აცხადებს ამხ. ვერშკოვი დეპუტატებისა და სტუმრების მქუხარე ტაშის გრიალში, — რომ საბჭოთა მთავრობის, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის პირველ დაძახილზე მთელი საბჭოთა ხალხი როგორც ერთი კაცი, გამოვა თავის დიადი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **ი. ვ. ნოვიკოვი.**

იწონებს რა განსახილველად წარმოდგენილ კანონის პროექტს, იგი ამბობს:

—ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თვითეული მოქალაქე რწმენით უყურებს ხვალინდელ დღეს. მან იცის, რომ ხვალ იგი არ დარჩება უმუშევრად. იგი ყოველდღიურად გრძნობს სტალინურ ზრუნვას თავის თავზე. აი რატომ იზრდება დღითიდღე ჩვენში შრომის გმირთა არმია, მრეწველობის, სოციალისტური შეწათმოქმედებისა და ჩვენი მეურნეობის სხვა დარგების სტახანოველთა არმია.

დეპუტატი **ვ. კ. ტრუტნევი** თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავს მოქალაქეობის კანონის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას. მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაშია შესაძლებელი ასეთი კანონი მოქალაქეობის შესახებ. დეპუტატი ტრუტნევი შეჩერდა კანონის პროექტის იმ ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს ზოგიერთი პირისათვის მოქალაქის უფლებების ჩამორთმევას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს მე-7 მუხლის უეჭველ სისწორეს, რომლის თანახმადაც მოქალაქეობის ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით, კანონის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებში და ყოველ ცალკე შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული ბრძანებულების ძალით.

—ჩვენი ქვეყნის — სოციალიზმის ქვეყნის მშრომელები,—ამბობს დეპუტატი **ა. ხ. პეტროვი,** — ღირსეულად ატარებენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მოქალაქის სახელწოდებას და სამშობლოსადმი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობით ასრულებენ სოციალიზმის ქვეყნის მოქალაქის მოვალეობას. მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი გრძნობა გამოხატეს თავიანთ უმაგალითო გმირობაში ჩვენმა გმირებმა—პაპანინმა, შირშოვმა, კრენკელმა, ფედოროვმა, ჩვენმა ამაყმა სტალინურმა შვეარდნებმა — ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა, ბელიაკოვმა, გრომოვმა, კოკინაკიმ, პოსკუროვმა და ჩვენი ქვეყნის ბევრმა სხვა უმაგალითო გმირმა გაფებმა და ქალებმა. ჩვენმა საბჭოთა მოქალაქეებმა შორეულ-აღმოსავლეთის საზღვრებზე ღირსეულად, მამაცად და გაბედულად ჩასცეს გამანადგურებელი ლახვარი იაპონელ სამურაებს, რომლებიც სოციალიზმის ქვეყნის საზღვრების დარღვევას ცდილობდნენ.

— ამხანაგო დეპუტატებო,— აცხადებს ამხ. პეტროვი,—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ჩემი წამოსვლის წინ სანაპირო დაცვისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების მებრძოლებმა და ძეთაურებმა, ჩვენი სოციალისტური საბჭოთა მოლდავეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა და მოსამსახურეებმა მთხოვეს განვუცხადო პარტიას და მთავრობას და საყვარელ სტალინს, რომ ჩვენი დასავლეთის საზღვრების დაცვა საიმედო და მტკიცე ხელშია.

ამხ. პეტროვის განცხადებას მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ეგებება.

ამთავრებს რა თავის სიტყვას ამხ. პეტროვი წარმოსთქვამს „გაშას“ დიდი სტალინისადმი ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.

ყველა დეპუტატი და სტუმარი ფეხზე დგება და ხანგრძლივ ოვაციას მართავს ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **მ. ა. იბრაგიმოვი.**

იგი ლაპარაკობს კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო, უდიდესი უფლებების შესახებ, რომლებიც სტალინურმა კონსტიტუციამ მიანიჭა სსრ კავშირის მოქალაქეებს. ეს უფლებები განუზომლად ამაღლებენ საბჭოთა მოქალაქის ღირსებას. საბჭოთა მოქალაქის ეს უფლებანი უზრუნველყოფილი არიან რევოლუციის მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათით.

მრავალრიცხოვანი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კარები ჩვენს ქვეყანაში ღიაა სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის. რომელ ქვეყანას ჰყავს მსოფლიოში იმდენი მეცნიერი, მწერალი, მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანები, გამოსულნი ხალხის წიაღიდან, მუშებისა და გლეხების წრიდან! არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება, ვიდრე იყო ასეთი ქვეყნის მოქალაქე, იყო მისთვის მებრძოლი და იცავდე მის წმინდათაწმინდა საზღვრებს!

დეპუტატი **ე. კ. ფედოროვი** თავის სიტყვას უძღვნის ხაბჭოთა მოქალაქეების პატრიოტიზმს, სტალინურ ზრუნვას ცოცხალ ადამიანზე.

— საბჭოთა მოქალაქეობა,—აბამბს დეპუტატი ფედოროვი, —ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეობისაგან იმით განსხვავდება, რომ საბჭოთა მოქალაქე თავის სამშობლოს ცხოვრების აქტიური მონაწილეა, იგი ჩვენი ქვეყნის დიადი, მდიდარი და გაფურჩქნილი ცხოვრების სრულუფლებიანი მონაწილეა.

— კარგია, რომ თავს ამ დიდი და ძლიერი კოლექტივის წევრად გრძნობ,—ამბობს იგი,—ეს შეგნება მტკიცე კავშირისა და დახმარებისა, რომელსაც თვითეულს უწევენ, ჰქმნის სტახანოვური მუშაობის შესანიშნავ ნიმუშებს და ეხმარება ჩვენს გაბედულ მფრინავებს მოიპოვონ მსოფლიო რეკორდები, აფრთოვანებს ჩვენს მებრძოლებს გმირობისათვის. იმის წარმოდგენამ, რომ მთელი ჩვენი სამშობლო ჩვენზე ზრუნავს, საშუალება მოგვცა გულდამშვიდებით გვემუშავნა ყინულზე, ვინაიდან ჩვენ ვიცოდით, რომ ყოველ წუთში აღმოგვიჩენდნენ დახმარებას.

ამხ. ფედოროვს მოჰყავს მკაფიო მაგალითები, რომლებიც მოწმობენ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მხურვალე სიმპატიებს საბჭოთა კავშირისადმი, რომელშიაც ისინი თავის პროლეტარულ სამშობლოს ხედავენ.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. ფედოროვი წინადადებას იძლევა დამტკიცებულ იქნას „სსრ კავშირის მოქალაქეობის“ კანონი, სტალინური ეპოქის ეს შესანიშნავი დოკუმენტი, დამყარებული სტალინური კონსტიტუციის მუხლებზე.

ამხ. ფედოროვის გამოსვლის შემდეგ კამათი სწყდება.

საბოლოო სიტყვით გამოდის მომხსენებელი—დეპუტატი **ნ. ა. ბულგანინი.**

დეპუტატ ნ. ა. ბულგანინის საბოლოო სიტყვის შემდეგ ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს „სსრ კავშირის მოქალაქეობის კანონს“.

დეპუტატ **ე. ხ. როჩევას** წინადადებით, ეროვნებათა საბჭო ადგენს—სესიის დღისწესრიგის მეხუთე საკითხი—პროექტი კანონისა „საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ“ მოსმენილ და განხილულ იქნას კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. დეპუტატ **ე. ხ. როჩევას** წინადადებით იღებენ აგრეთვე გადაწყვეტილებას — მოსმენილ იქნას მოხსენება დღისწესრიგის მეექვსე საკითხზე—პროექტი კანონისა ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ“ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

ესპანეთის ჯრესა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის შესახებ

ბარსელონა, 17 აგვისტო (საკ-დესი). გაზეთი „ფრენტე როხო“ აქვეყნებს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის ამხ. რიჩკოვის სიტყვას შემდეგი სათაურით: „ახალი კოდექსი წარმოადგენს გადაწყვეტ ნაბიჯს საბჭოთა იუსტიციის კიდევ უფრო მეტი დემოკრატიზაციისაკენ. უმაღლესი საბჭო იხილავს იმ კოდექსის პროექტს, რომელიც სტალინური კონსტიტუციის პრინციპების გამოხატულებას წარმოადგენს“.

გაზეთი „ნოტისიასი“ სათაურით „სსრ კავშირის დემოკრატიული იურიდიული სისტემა ფაშისტთა სამსჯავროს დასაპირისპირებლად“ აქვეყნებს ამხ. შაგიმარდოვიფის ტურკინის, სოლოდილოვისა და ნიკიტჩენკოს გამოსვლებს, რომლებიც მიძღვნილია სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების კანონის პროექტისადმი. ამ გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის შესახებ გადმოცემულ ცნობაში სწერს: „მშრომელები უდიდეს ყურადღებით ადევნებენ თვალს უმაღლესი საბჭოს მოშაობას“.

ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესი

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო (საკ-დესი). გუშინ ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესის დილის სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ ყველა ნაციონალური დელეგაციის ხელმძღვანელები. ამ სხდომაზე დიდი სიტყვით, რომელიც ახალგაზრდობის 1936-1938 წლების საერთაშორისო მოძრაობისადმი იყო მიძღვნილი გაჰკივდა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესის მდივანი ბეტტი შილდო კოლინო. „ჩვენ შევქმენით, — განაცხადა შილდო კოლინომ, — ახალგაზრდობის გაერთიანებული მოძრაობა და დავამყარეთ თანამშრომლობა ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაციებისა, რომელთაც ყველა ქვეყანაში 40 მილიონზე მეტი ახალგაზრდობა მოეპოვებათ. განსაკუთრით არაფერია იმაში, რომ სამხედრო საშინროების ზრდასთან ერთად ახალგაზრდობა სულ უფროდაუფრო ერთიანდება საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად. ახალგაზრდობის თანამშრომლობის ყველაზედ უფრო დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ათასობით წვრილი სექტების ნაცვლად სხვადასხვა ჯგუფები მიისწრაფვიან საერთო იდეალების გაერთიანებული ძალებით დასაცავად. ამ კონგრესმა უნდა გადასწყვიტოს, თუ რა ფორმებში უნდა გაგრძელდეს ახალგაზრდობის თანამშრომლობა.

უეჭველია, კონგრესი გამოიმუშავებს ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის თანამშრომლობის მეთოდებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური, კლასობრივი, რასიული, ან რელიგიური რწმენისა, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა უნდა გაერთიანდეს საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად. შემდეგ შილდო კოლინომ განაცხადა, რომ 26 ქვეყანაში უკვე მოწყობილია ახალგაზრდობის მუდმივი ნაციონალური კონგრესი. შილდო კოლინოს შემდეგ ახალგაზრდობის მოძრაობის შესახებ საინფორმაციო ცნობით გამოვიდნენ ავსტრალიის, ბელგიის, კანადის, კოლუმბის, ბოლგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ეკვადორის, დანიის, ფინეთის, შვეიციის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისის, ინდოეთისა და უნგრეთის წარმომადგენლები.

ინგლისელი დელეგატი კარიტი, გამოდის რა „მშვიდობიანობისათვის მებრძოლი ინგლისელი ახალგაზრდობის საზოგადოების“ სახელით, იუწყება, რომ ამ საზოგადოებაში შედის ახალგაზრდობის 30 ნაციონალური ორგანიზაცია. საზოგადოების მთავარი ამოცანაა ახალგაზრდობის გაერთიანება მშვიდობიანობისათვის ბრძოლის მიზნით. უკვე დამყარებულია კავშირი ესპანეთის ახალგაზრდობასთან, საფრანგეთის ახალგაზრდობასთან დადებულია მეგობრული პაქტი სოციშეჯიბრებაზე ესპანელი ახალგაზრდობისათვის საუკეთესო დახმარების გაწევაში.

ინდოეთის დელეგატმა „ინდოეთის სოციალისტური კონგრესის“ მდივანმა მეხერალმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ინდოეთის ახალგაზრდობა აქტიურ მუშაობას აწარმოებს ესპანეთისა და ჩინეთისათვის დახმარების გაწევის საქმეში. შემდეგ მეხერალი შეეხო ახალგაზრდობის მდგომარეობას ინდოეთში. მან განაცხადა, რომ 1930 წლიდან 1935 წლამდე ინდოეთის საპატიმროებში ჩაყრილი იყო ახალგაზრდობის ასი ათასი წარმომადგენელი.

ჩინეთის ახალგაზრდობის წარმომადგენელს ინს მხურვალე ოვაციით შეხვდნენ. მან უამბო კრებას ჩინელი ახალგაზრდობის სამხედრო მუშაობის შესახებ. მიუხედავად იმისა, — განაცხადა შემდეგ ინმა, — ჩინეთის ახალგაზრდობა ფართო სანგამშანათლებლო მუშაობას აწარმოებს. მთელი ჩინეთის ახალგაზრდობა ამჟამად მონაწილეობას იღებს ერთიან ნაციონალურ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

კონგრესის ხელმძღვანელთა ცნობებით, მას ესწრება 500 დელეგატი 55 ქვეყნიდან. ზუსტ რიცხვს გვაცნობებს დღეს სამანდატო კომისია. დელეგატები უმთავრესად წარმოადგენენ სტუდენტთა ორგანიზაციებს, მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ორგანიზაციებს, პროფკავშირულ, ეკვადორის, დანიის, ფინეთის, შვეიგლეხურ და სხვა ორგანიზაციებს.

საბჭოთა მეზღვაურების განთავისუფლება

პარიზი, 19 აგვისტო (საკდესი) საფრანგეთში ჩამოვიდა ესპანელ მეამბოხეთა მიერ ტყვედ წაყვანილი გემი „სმიდოვიჩის“ კომანდის წევრთა ახალი ჯგუფი.

სსრ კავშირის მთავრობის მიერ მიღებული ზომებით ტყვეობიდან განთავისუფლებულ იქნა ზემოხსენებულ ჯგუფში შემავალი შემდეგი 8 მეზღვაური: სტეფანე შესტაკოვი, ვასილ ნიანიკოვი, დიმიტრი სერუხინი, მიხეილ უშაკოვი, ლეონიდ სერანინი, კირილე მუხუტდინოვი, პეტრე იგლინი და ნიკოლოზ შესტაკოვი.

20 აგვისტოს საბჭოთა მეზღვაურები ჩამოვლენ პარიზში, საიდანაც შემდეგ გაემართებიან საბჭოთა კავშირში.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ს. ს. დუკელსკის თავმჯდომარეობითა და ა. ტ. კორიავინის, ვ. ნ. რულევის, ა. უ. კურიანოვის, ნ. პ. პუპკოვისა და გ. ზ. მატიუხინის შემადგენლობით.

ქვანახშირისა და მარგანეცის გამოღება, 17/VIII

(ტონობით)

	გეგმა	გამოღება	შესრ. პროც.
1. ქვანახშირი			

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

დეპუტატ თ. მ. ბირკაძის სიტყვა

ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენთვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროექტი „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულებისა“ მთლიანად შეეფერება ჩვენი მრავალეროვანი ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა სასამართლომ სამართლიანად დაიმსახურა მშრომელთა საყოველთაო ნდობა. ჩვენი სასამართლო იცავდა და იცავს სოციალისტური სახელმწიფოს წმინდათაწმინდა პრინციპებს საბჭოთა ხალხის მტრების მიერ ხელყოფისაგან.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების ამჟამად მოქმედი საფუძვლები მიღებულ იქნა დაახლოებით 14 წლის წინათ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წლის 29 ოქტომბრის ცნობილი დადგენილებით.

სასამართლოს წყობილების ამჟამად მოქმედ საფუძველთა ძირითადი პრინციპები სავსებით შეესაბამებოდა სსრ კავშირის პოლიტიკურსა და ეკონომიურ პირობებს. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი საბჭოთა სამშობლო ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის **ამხანაგ სტალინის (მჭუხარე ტაში)** ხელმძღვანელობით სწრაფად მიდიოდა სოციალიზმის მშენებლობის გზით. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გაიმარჯვა და ჩვენ სწრაფი ნაბიჯით ვიდივართ წინ კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა გამარჯვებები ჩაწერილია კაცობრიობის უდიდეს დოკუმენტში—სსრ კავშირის **კონსტიტუციაში**, რომელიც მოგვცა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდმა ბელადმა, ჩვენმა მშობლიურმა საყვარელმა ამხანაგმა სტალინმა! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში)**. ჩვენი მიღწევები ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომელსაც საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად უწოდა სტალინური კონსტიტუცია.

სტალინური კონსტიტუცია უდიდეს ყურადღებას უთმობს საბჭოთა სასამართლოს, საბჭოთა მართლმსაჯულებას. სტალინური კონსტიტუციის მიღების შემდეგ სასამართლოს წყობილების ამჟამად მოქმედი საფუძვლები მთელი რიგი მომენტების მხრივ მოძველდა. სტალინურმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა და განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლები. ამიტომ ამჟამად სასამართლოსაც ახალს, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ.

„სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“, პროექტი, შემოტანილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად, სავსებით სწორად ასახავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც საბჭოთა სასამართლოს უყენებენ.

რაში მდგომარეობს ის ახალი რამ, რაც საფუძვლად დაედო „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ პროექტს?.

ჯერ ერთი, ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკისათვის წესდება სასამართლოს ორგანიზაციული წყობილების ერთიანი პრინციპი.

მეორე, ხორციელდება მოსამართლეთა არჩევნობის სისტემა: **სახალხო** მოსამართლეებს და სახალხო მსაჯულებს ირჩევენ რაიონის მოქალაქეები საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ამასთანავე უქმდება, მოსამართლედ არჩევის უფლებები ყველა წინანდელი შეზღუდვანი. მოსამართლედ შეიძლება იყოს ყველა, ვინც სარგებლობს ხმის მიცემის უფლებით ჩვენს ქვეყანაში, ვინც დაიმსახურა ხალხის სიყვარული და ნდობა.

ამგვარად, ხდება მშრომელთა უფართოესი მასების მიზიდვა მოსამართლეთა მოვალეობის შესრულებაში. ჩვენი სასამართლო ნამდვილად სახალხო სასამართლოა, რომელიც ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციის დიად პრინციპებს. ჩვენი სასამართლო თვით ხალხის სასამართლოა, და იგი პრინციპულად განირჩევა კაპიტალისტური ქვეყნების სასამართლოსაგან.

მესამე, საქმეების გარჩევა სსრ კავშირის ყველა სასამართლოში ღიაა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც სპეციალურად არის ნაჩვენები კანონში; მაშასადამე, სასამართლო ჩვენში საჯაროა.

საბჭოთა სასამართლო არა მარტო სჯის, არამედ ზრდის კიდეც. მხოლოდ საბჭოთა სასამართლო არის ნამდვილი სახალხო სასამართლო, რომლის შესახებაც ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებობა შეუძლიათ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს.

სასამართლო კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ფაშისტურ ქვეყნებში, წარმოადგენს მშრომელთა მძვინვარე და ულმობელი ჩაგვრის იარაღს ექსპლოატატორული კლასების ინტერესებისათვის.

ფაშისტური სასამართლოები მშრომელთა დათრგუნვის იარაღია. ფაშისტური სასამართლოები — მართლმსაჯულების საზიზღარი პაროდიაა, მუშებისა და გლეხების დათრგუნვის საშუალებაა.

ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! ხალხის მტრები, რომლებიც მოქმედებდნენ საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებში, ყოველნაირად ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რეპრესიული კანონიერებისათვის, ცდილობდნენ გამრუდებინათ მშრომელთა უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით. მტრებმა ეს ვერ შესძლეს და ამას ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ! საბჭოთა სახელოვანმა დაზვერვამ, რომელსაც ხელმძღვანელობს სტალინური სახალხო კომისარი ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვი **(მჭუხარე ტაში)** მოსპო და გაანადგურა ტროცკისტულ-ბუხარინულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ჯგუფებს, ბანდიტთა, დივერსანტთა და მკვლელთა გველური ბუდეები.

აყვავებული სოციალისტური საქართველოს ხალხი, ანადგურებს რა მტრებს, კიდევ უფრო მჭიდროდ იკრიბება საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო მეგობრულ ოჯახში, ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხთა საყვარელი ბელადის — ამხანაგ სტალინის გარშემო **(მჭუხარე ტაში)**.

ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! ვიხილავთ რა სასამართლოს წყობილების საკითხს, საჭიროა, ვსთქვათ სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ იუსტიციის ორგანოების ორგანიზაციის ხარვეზებზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავის აღსანიშნავად, საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი მოლოტოვი სრულიად სამართლიანად აკრიტიკებდა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაობას.

მაგრამ იუსტიციის ორგანოები ჯერ კიდევ საკმაო ენერგიულობით ვერ აწარმოებენ თავის გარდაქმნას. ჩვენი რესპუბლიკის იუსტიციისა და სახალხო სასამართლოების მრავალ მუშაკი ცუდადაა დაკავშირებული მასებთან და თავისი მუშაობის შესახებ ძლიერ იშვიათად აბარებს მათ ანგარიშს.

მე ვეუერთდები აქ გამოსულ დეპუტატთა აზრს სახალხო სასამართლოებისათვის კადრების არადამაკმაყოფილებლად მომზადების შესახებ. ჩვენში, საქართველოში, სახალხო სასამართლოების ბევრ მუშაკს არა აქვს იურიდიული განათლება და ამ საქმისათვის პრაქტიკული გამოცდილება. საქართველოს სს რესპუბლიკაში უკანასკნელ დროს იუსტიციის ორგანოებში სამუშაოდ ბევრი ახალი ახალგაზრდა კადრია დაწინაურებული. საჭიროა ამ კადრების სერიოზული აღზრდა და მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევა. მაგრამ სასამართლოს ახალგაზრდა მუშაკების კადრების სწავლება საქართველოს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცუდად არის ორგანიზებული.

აქ გამოსული დეპუტატები სამართლიანად ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ქალების დაწინაურება იუსტიციის ორგანოებში სამუშაოდ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ნაციონალურ რესპუბლიკებში. ამიტომ საჭიროა უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ქალთა აქტივი სახალხო სასამართლოებში სამუშაოდ. იუსტიციის ორგანოთა ახალ კადრებს შორის მნიშვნელოვან ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენს.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი, გზავნის რა სახალხო სასამართლოებში სამუშაოდ თავის საუკეთესო წარმომადგენლებს, ყოველმხრივ დახმარებას უნდა უწევდეს მათ. სახალხო სასამართლოებში კომკავშირელ ვაჟთა და ქალთა მუშაობა კომკავშირული ორგანიზაციის საპატიო და საპასუხისმგებლო დავალებას წარმოადგენს.

ამხანაგო დეპუტატებო! „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ პროექტი, შემოტანილი საბჭოთა მთავრობის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად, სავსებით და მთლიანად აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად დემოკრატიულ პრინციპებზე. სასამართლოს წყობილების დებულება ჰქმნის ყველა პირობას სასამართლო ორგანოების სანიმუშოდ მუშაობისათვის.

მე ვეურთდები უმაღლესი საბჭოს აქ გამოსულ დეპუტატთა წინადადებას „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ დამტკიცების შესახებ.

ძლიერი საბჭოთა ხალხი მტკიცედ არის დარაზმული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი მშობლიური, საყვარელი დიდი სტალინის გარშემო. **(მჭუხარე ტაში)**.

ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ ჩვენ მტკიცედ და მხნედ მივდივართ წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებისაკენ. **(მჭუხარე ტაში)**.

საბჭოთა ავიაციის დღესასწაული

18 აგვისტოს ტუშინოს აეროდრომზე

18 აგვისტო, დილით, დედაქალაქის ყოველი კუთხიდან ასიათასობით მოსკოველები მოისწრაფოდნენ ტუშინოს აეროდრომისაკენ, ავტომობილები დაუსრულებლად მისდევდნენ ერთმანეთს. ტრამვაის და საგარეუბნო მატარებლებს განუწყვეტლივ მიჰყავდათ საავიაციო ქალაქისაკენ სადღესასწაულოდ მორთული ადამიანები.

დედაქალაქის მცხოვრებნი და მახლობელი სოფლების კოლმეურნეები მოვიდნენ, რათა ენახათ ჩვენი ქვეყნის ამაყი შეკვარდნების—სტალინის მოწაფეების, ხალხის საყვარელი ადამიანებისა და გმირების ოსტატობა, რომელთა გმირობის ამბავიც ჰქონდათ შორს ჩვენი სამშობლოს საზღვრებს იქით.

ცენტრალური აეროკლუბის ტრიბუნაზე არიან ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ეჟოვი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ლიტვინოვი, შკირიატოვი, მალენკოვი, შვერნიკი, უგაროვი, ბულგანინი, კოსარევი, მოლოკოვი, ჩკალოვი, გორშენინი,** და სხვები.

დღესასწაულს ესწრებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — მეორე სესიის მონაწილეები.

დიპლომატიური კორპუსის ლოჟები გაჭედილია. სტუმრებს შორის არის მოსკოვში წინადღით ჩამოფრენილი ცნობილი ამერიკელი მფრინავი ჩარლზ ლინდბერგი.

ნაშუადღევის სამი საათია. წყნარად და ნარნარით ადის მაღლა საჰაერო ბურთი ამხანაგ სტალინის უზარმაზარი პორტრეტით.

საჰაერო ბურთებს ზედიზედ აქვთ მაღლა ამხანაგ მოლოტოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, კალინინის, ანდრეევის, მიქოიანის, ჟდანოვის, ეჟოვისა და ხრუშჩოვის პორტრეტები. მაყურებლები აღტაცებით ადევნებენ თვალს მინდვრის თავზე მოსრიალე საჰაერო ბურთებს და აღფრთოვანებით მიესალმებიან ხალხთა ბელადსა და მის უახლოეს თანამებრძოლთ.

აეროდრომზე გაისმის მოტორების გუგუნი. სწრაფად და ზუსტად სწყდება დედამიწას დაახლოებით 100 სასწავლო თვითმფრინავი. „უ—2“. მსუბუქმოტორიან მანქანათა ბრიგადას მეთაურობს მაიორი სმუროვი. მანქანების შტურვალებს უსხედან მოსკოვის აეროკლუბთა პილოტები, ახალგაზრდა მუშები და მუშა-ქალები, რომელთაც ფრენოსნობა წარმოებისაგან მოუწყვეტლად შეისწავლეს.

მსუბუქ თვითმფრინავთა ბრიგადის შემდეგ მიფრინავს 9 სასწავლო საწრთვნელი მანქანა „უტ—2“, მათ მიჰყვება 15 თვითმფრინავი „უტ-1“. მოსკოვის აეროკლუბთა ახალგაზრდა პილოტები ცხადჰყოფენ საქმის საუცხოოდ შესწავლას. ყოველწლიურად იზრდება და სრულყოფილი ხდება საბჭოთა ადამიანების ფრთოსანი მოდგმა.

ჰაერში ტევა აღარ არის. მფრინავები კოსტელევი და კონონოვი კოხტა მონოპლანებით „უტ—1“ დაჰჭრიან ჰაეროდრომზე ისე, რომ თვითმფრინავებს ბორბლები მაღლა აქვთ, მფრინავები კი თავყირა ჩამოკიდული არიან ღვედებით. მწვანე მინდვრის თავზე სწრაფად დასრიალებენ სხვადასხვა კონსტრუქციის სასპორტო თვითმფრინავები. მაყურებლებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს პატარა ყვითელი უკუდო მანქანა. ეს არის „მფრინავი ფრთა“. ეს მანქანა ძალიან ადვილად აკეთებს მკვეთრ ვირაჟებსა და მოხვევებს.

მოსკოვ-ვოლგის არხის მხრით გამოჩნდა „უ—2“ თვითმფრინავთა ბრიგადა. ჩამწკრივებული მანქანები მტკიცე, საბრძოლო წესით მოდიან. ცოტა უფრო დაბლა მოჰჭრიან სწრაფი ერთადგილიანი და ორადგილიანი საწვრთნელი მონოპლანები. აეროკლუბის ავიაციის საუცხოო, ლამაზი, თანაბარი მწყობრი საყოველთაო აღტაცებას იწვევს.

აეროკლუბის ავიაციას სცვლის სამოქალაქო საჰაერო ფლოტი. როდესაც ტუშინოს აეროდრომზე გამოჩნდა წითელფრთიანი, თვითმფრინავი „მოსკვა“, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი ბრიგადის მეთაური ამხ. კოკინაკი მართავდა, მინდორში გაისმის მჭუხარე ტაშის გრიალი სტალინური ეპოქის ამაყ შვილართა პატივსაცემად.

მოფრინავენ საფოსტო და სამგზავრო თვითმფრინავები. მრავალადგილიანი და კომფორტაბელური სასწრაფო მანქანები, **სანიტარული** ავიაციის თვითმფრინავები.

საჰაერო პარადის მესამე განყოფილებაში სამხედრო მფრინავები გვიჩვენებენ თავის გაბედულებას, სიმამაცეს, გმირობას, ოსტატობას, უნარს რთული საბრძოლო ტექნიკის დაუფლებისა საჰაერო ბრძოლის თანამედროვე პირობებში.

აეროდრომს სწრაფად უახლოვდება „მოწინააღმდეგის“ სამი მზვერავი თვითმფრინავი. ისინი ცდილობენ მოულოდნელად წაადგნენ თავს აეროდრომს. მაგრამ „მოწინააღმდეგე“ შეამჩნიეს. ასტყდა განგაში: გაისმის საყვირთა ხახგრძლივი გუგუნი, ჰაერში ელვისებური სისწრაფით აფრინდა ავიაგანმანადგურებელთა ჯგუფი თავდაცვისა საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ამხ. ლაკეევის მეთაურობით. დიდი და პატარა ყალიბის საზენიტო ქვეშეხების მრავალრიცხოვანი ლულები ცისკენ არის აშვერილი.

განსაკუთრებული სიზუსტით ურტყამს საზენიტო არტილერია „მოწინააღმდეგის“ თვითმფრინავებს. დამალვაც კი ვერ მოასწრეს თავდაცვის ავიაციის მიერ დევნილმა მზვერავებმა, რომ უეცრად ტყიდან ჩნდებიან მოიერიშენი. კვლავ გრიალებს საზენიტო არტილერია. მოიერიშენი ყუმბარებს ჰყრიან. ანგარს ცეცხლი უჩნდება, ნადგურდება ანგართან მდგომი რამდენიმე „თვითმფრინავი“. დიდ სიმაღლეზე მოსჩანს 18 ყუმბარმზიდი, რომლებსაც ჭფარავს განმანადგურებელი ავიაცია. კვლავ არტილერიის გამძაფრებული ცეცხლი. იწყება საჰაერო ბრძოლა აეროდრომის თავდაცვისა და თვდასხმის განმანადგურებელთა შორის.

აეროდრომი გახვეულია შავ, ხშირ კვამლში. და, როდესაც ის იფანტება, მაყურებლები უკვე ვეღარ ხედავენ ვერც ანგარას, ვერც მაშველ და ვერც დამხმარე ნაგებობებს, ვერც „თვითმფრინავთა“ უმრავლესობას, რომლებმაც ალბათ, ვერ მოასწრეს ჰაერში ასვლა. სახანძრო რაზმი ცეცხლისაგან იცავს ძვირფასი ქონების ნაშთებს. ჰაერში კი გაფთრებული „ბრძოლა“ გრძელდება. მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით ეგებებიან სამხედრო მფრინავთა წესიანშავ ოსტატობას.

ჰორიზონტზე 5 თვითმფრინავია. მფრინავე თვითმფრინავს მართავს საბჭოთა კავშირის გმირი—პოლკოვნიკი სეროვი. ისინი ჯგუფობრივი პილოტაჟის ფიგურებს გვიჩვენებენ.

განმანადგურებლები მიდიან ჰაერს ავსებს მოტორების მძლავრი გრგვინვა. ჩნდება სამი გიგანტური საჰაერო ხომალდი. ერთი წუთი კიდევ და... ცა, აბრეშუმის თაღით იფარება. ათობით პარაშუტისტები ჩამოხტნენ თვითმფრინავებიდან.

დღესასწაული დამთავრდა. ეს იყო საბჭოთა ავიაციის ძლიერებისა, საბჭოთა საავიაციო მრეწველობის საუცხოო ტექნიკისა და იმ საბჭოთა მფრინავების უსაზღვრო გმირობისა და ოსტატობის გრანდიოზული პარადი, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან ფიზზე დადგნენ თავისი დედა-სამშობლოს წმინდა საზღვრების დასაცავად. ეს იყო ფრთოსან ადამიანთა სტალინური მოდგმის დღესასწაული.

ტუშინოში, 18 აგვისტოს დღესასწაულში ღებულობდა მონაწილეობას დაახლოებით მილიონი კაცი.

(საკდესი).

შეართოდ გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება ჩაის კულტურის ასათვისებლად

(ამბარა, საქ. კორესპონდენტისაგან)

ჩაის კრეფის გასული სამი თვის გეგმა ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა 101,2 პროცენტით შეასრულეს, ხოლო აგვისტოს დავალება 11 დღის განმავლობაში შესრულებულია 40,7 პროცენტით. 12 აგვისტოსთვის რაიონის კოლმეურნეობებში მოკრეფილი იყო 70.471 კილოგრამი ფოთოლი. საიდანაც 97,1 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ აღებისათვის სოფ. შეკვეთილების გაშლისა და აფხაზეთის ცნობილი სტახანოველების უშა ახუბას, ცაცა ქარდავას და დუშა ქვაჩახიას გამოცდილების შესწავლის შედეგად, ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. მაგალითად, სოფ. სიმონეთის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობას, სოფ. ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — ამხ. კ. ჭირიდი) 12 აგვისტოსათვის მოკრეფილი ჰქონდა 8.552 კილოგრამი ჩაი, რაც თვიური გეგმის 40,7 პროცენტს უდრის.

სოფ. ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია კომკავშირის 20 წლისთავის სახელობის ბრიგადა ამხ. ი. ვარშანიძის ხელმძღვანელობით. ბრიგადამ 11 დღის განმავლობაში ჩაის კრეფის თვიური გეგმა 43,2 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ მოწინავეებთან ერთად რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია შრომა, ადგილი აქვს ფოთლის დანაკარგებს, საკმაო დახმარებას ვერ უწევენ სტახანოველებსა და ამის შედეგად ჩამორჩენენ გეგმების შესრულებაში. ასეთები არიან: ორთაბათუმის ეკოვის სახელობის, თხილნარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობები. კოლმეურნეობა „პირველი მაისი“ და სხვ.

ჩაის კრეფის გეგმის შესრულების ბჭირივ არც რაიონის საბჭოთა მეურნეობებშია სახარბიელო მდგომარეობა. მაგალითად, სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 12 აგვისტოსათვის თვიური გეგმა მხოლოდ 29,2 პროცენტით შეასრულა. ამ მეურნეობაში არასაკმაოდ იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ, არ ტარდება ჩაის ბუჩქების ყრუ დუყებისაგან გაწმენდა, დროზე არ თოხნიან პლანტაციებს. არ ზრუნავენ მუშა-ხელის შეგროვებაზე.

ჩაის კრეფაში ჩამორჩენილია მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობაც.

ქ. დოგოლრჯგინიძე

ლაითურში ყველაფერი რიგზე არ არის

(მახარაძე, ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან)

ლაითურის ჩაის ფაბრიკამ წელს უნდა გამოუშვას 232.000 კილოგრამი ჩაის მზა პროდუქცია. 8 აგვისტოსათვის ფაბრიკას გამოშვებული და ჩაბარებული ჰქონდა 292.743 კილოგრამი, აქედან უმაღლესი ხარისხისა—240 კილოგრამი, პირველი ხარისხისა—21.134. მიუხედავად იმ ერთგვარი მიღწევებისა, რომლებიც ლაითურელებმა ჩაის პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში მოიპოვეს, ფაბრიკას მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვს.

მოუწესრიგებელია ტრანსპორტის საქმე, ფაბრიკის განკარგულებაში არსებული 7 ავტომანქანიდან მხოლოდ ორი მუშაობს, რაც აფერხებს ჩაის ფოთლის დროულად გადმოზიდვას მიმღები პუნქტებიდან. ხიდი, რომელიც ფაბრიკას სოფ. მერიასთან აკავშირებს, დაუმთავრებელია. ამის გამო ხშირად ჩაის ფოთოლი მდ. ბეუეზე ზურგით გადააქვთ.

ფაბრიკა არც მუშა-ხელით არის უზრუნველყოფილი, 130 კაცის ნაცვლად 118 კაცი მუშაობს. მუშათა საცხოვრებელი ბინის მშენებლობა, რომელიც 5 წლის წინათ დაიწყო, ჯერაც დაუმთავრებელია.

ფაბრიკაში 65 სტახანოველია, რომლებიც დღიურ დავალებებს 300—400 პროცენტით ასრულებენ. მაგალითად ჟენია ჩერლოვსკაია ნორმით დაწესებული 10.875 კილოგრამის ნაცვლად თაროებზე 39,436 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს აფენს. მიხეილ ურიხი ნორმას 306 პროცენტით ასრულებს, ივანე ურიხი—324-ით. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები სტახანოველებს აქ ნაკლებ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ ფაბრიკაში არ იწვევენ სტახანოველთა თათბირებს და არ ახდენენ მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას ჩამორჩენილთა შორის.

ლაითურის ჩაის ფაბრიკას სოციშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ნასაკირალის ჩაის ფაბრიკა, მაგრამ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება დღემდე ერთხელაც არ მომხდარა. კედლის გაზეთი რამდენიმე თვეა არ გამოსულა.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სერიოზული ამოცანის წინაშე დგას მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ამ წელს უნდა მოჰკრიფოს და საწელმწიფოს ჩააბაროს 895 ტონა ჩაის ფოთოლი.

15 აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 565,8 ტონა ფოთოლი, წლიური გეგმის 63,2 პროცენტი, ჩაის კრეფის სამი თვის გეგმა მეურნეობამ 89 პროცენტით შეასრულა.

ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ მეურნეობას მუშა-ხელი არა ჰყავს საკმაო რაოდენობით. საჭიროა 859 მკრეფავი, ხოლო მუშაობს 450. მუშა-ხელის სიმცირეს ხელს უწყობს ის, რომ მეურნეობას საკმარისად არა აქვს მუშათა საცხოვრებელი ბინები.

მეურნეობაში სუსტად მუშაობს პროფესიული ორგანიზაცია. აქ კმაყოფილდებიან სოციშეჯიბრების ფორმალურად გაწლით, არ ამოწმებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, არ ეხმარებიან სტახანოველებს.

მეურნეობის 450 მკრეფავიდან სტახანოველია 188.

გეგმების შესრულებაში ყველაზე წინ მიდის მეურნეობის მესამე განყოფილება (უფროსი აგრონომი — მოსე ღლონტი), მან ივლისის გეგმა 90 პროცენტით შეასრულა. წინ მიდის აგრეთვე მეოთხე განყოფილება (უფროსი აგრონომი — დ. პატარავა).

სამარცხვინოდ ჩამორჩა პირველი განყოფილება (უფროსი — ფ. ჯურღულაშვილი), რომელმაც ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა მხოლოდ 72 პროცენტით შეასრულა.

ბრიგადებს შორის მოწინავეა მაჩუსია შმაგილას ბრიგადა, რომელმაც გეგმა 107,8 პროცენტით შეასრულა. კარგად მუშაობენ აგრეთვე ო. როყვას (გეგმა შეასრულა 104,2 პროცენტით), მარუსია დუმბაკაიას და ალექსანდრე ბურჭულაძის ბრიგადები.

სტახანოველი მაშიკო სტურუა დღეში ჰკრეფს 77 კილოგრამს ნაცვლად 15-სა, ვ. ძაძულეიკო ჩაის კრეფის დღიურ ნორმას 387,5 პროცენტით ასრულებს, ლიზა ხოვანსკაია — 402,9 პროცენტით.

სუსტად მუშაობს მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია, კომკავშირელებმა საქ. ალკ 20 წლისთავთან დაკავშირებით იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი, მაგრამ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ტოკოლნიკოვი არ ამოწმებს კომკავშირელების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ლ. მახარაძე.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ 15 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების გეგმა (ტონობით)	სულ დამზადებულია ზემოთ დასახელებული გეგმის (ტონობით)	წლიური გეგმის შესრულების პროცენტობით	აგვისტოს გეგმის შესრულების პროცენტობით
ბათუმი	1.360	991,6	72,9	48,3
ქობულეთი	6.680	4.465,2	66,8	36,9
სულ აჭარის ასსრ-ში	**8.040**	**5.456,8**	**67,9**	**38,5**
გალი	2.290	1.552,9	67,8	29,2
ოჩამჩირე	1.170	805,8	68,9	26,6
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**3.460**	**2.358,7**	**67,9**	**28,4**
მახარაძე	8555	5.611	65,6	33,6
ჩოხატაური	1.050	692,7	66	27,5
ლანჩხუთი	3.200	1.944,1	60,8	25,8
სამტრედია	200	124,2	62,1	24,9
წულუკიძე	725	494,8	68,2	35,5
ქუთაისი	180	105,2	58,4	27,4
ტყიბული	375	216,5	57,7	21,5
ცხაკაია	900	529,3	58,8	19,3
გეგეჭკორი	1.929	1.306,2	67,7	30,8
ზუგდიდი	3.934	2.327,2	59,2	17,7
წალენჯიხა	1 208	792,2	65,6	27,9
ჩხოროწყუ	964	644,9	66,9	31,6
ხობი	280	204,8	72,3	25,9
ს უ ლ	**35.000**	**22.808,6**	**65,2**	**30,5**

ი. ურუშაძე — საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლ. განყ. ინსტრუქტორი

საგამომცემლო გეგმები ვადაზე უნდა შესრულდეს

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის აუცილებელია სკოლების უზრუნველყოფა სტაბილური სახელმძღვანელოებით, მაგრამ როგორც ირკვევა ამ მხრით მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

სახელგამმა უკანასკნელი გეგმის თანახმად პირველ სექტემბრამდე უნდა გამოსცეს 67 სახელწოდების სახელმძღვანელოები 2.530.000 ც. საერთო ტირაჟით, 10 აგვისტომდე დაბეჭდილი იყო 37 სახელწოდების სახელმძღვანელოები 1.248.000-ის ტირაჟით, რაც უდრის გეგმის 55,2 პროცენტს. დანარჩენი 29 სახელმძღვანელოდან 28 სახელწოდების წიგნები ბეჭდვის სხვადასხვა სტადიაში იმყოფება, ხოლო ერთი წიგნი სრულებით არ გადასცემია წარმოებას. გარდა ამისა, სახელგამმა 1 სექტემბრისათვის უნდა გამოსცეს 20 სახელწოდების პროგრამები, 10 აგვისტოსათვის გამოცემული იყო მხოლოდ ერთი პროგრამა.

პარტიამ და ხელისუფლებამ ყოველგვარი პირობები შეუქმნეს სახელგამს სახელმძღვანელოების ვადაზე გამოცემის უზრუნველსაყოფად. მობილიზებულია და სახელმძღვანელოების ბეჭდვის საქმეში ჩაბმულია თბილისის თითქმის ყველა სტამბა, სტამბის მუშაკები, ასოთამწყობები, მკინძავები, ლინოტიპისტები, გამოცემა უზრუნველყოფილია ქაღალდით და სხვ. სახელგამმა უნდა უზრუნველჰყოს სახელმძღვანელოების გეგმით გათვალისწინებულ ვადაში გამოცემა.

საგამომცემლო გეგმას ვერ ასრულებს სახელგამის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის განყოფილება. განსაკუთრებით ჩამორჩება ლენინის ტომების ბეჭდვა.

მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოების თარგმნა და ბეჭდვა ბოლშევიკური ტემპებით უნდა წარიმართოს. არ უნდა იქნას დავიწყებული ის ფაქტი, რომ ხელისშემწერლებისაგან შეკრებილია და სახელგამზე ირიცხება 700.000 მანეთამდე. პარტგამომცემლობაში წლების განმავლობაში მოკალათებულმა, მაჟამად გამომჟღავნებულმა ხალხის მტრებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს პარტგამომცემლობას. 1933 წელს პარტგამომცემლობამ სტამბა „კომუნისტს“ გადასცა დასაბეჭდად ლენინის ექვსტომეულის 1 ტომი; უნდა დაბეჭდილიყო 20.000 ც. ტირაჟით. ფაქტიურად დაიბეჭდა 10.000, ხოლო მეორე 10 ათასიდან ნაცვლად I ტომის 55 ფორმისა, დაიბეჭდა 41 ფორმა, ხოლო დანარჩენ 14 ფორმას დაბეჭდვა აღარ ეღირსა. I ტომის დაბეჭდილი ფორმები. (17 ტონა ქაღალდი) დღესაც ჰყრია სტამბა „კომუნისტის“ სარდაფში, იქვე ჰყრია ლენინის ექვსტომეულის მე-5 და სხვა ტომებიც, რაც 60.000 მანეთზე მეტი უჯდება სახელგამის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობას. ასეთსავე მდგომარეობაშია გამოცემა ლენინის 30-ტომეულის მე-12 და 22 ტომებისა, რომლებიც დაბე

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად აღვზარდოთ ხელმძღვანელი პარტიული კადრები

ახალი ცოდნითა და ენერგიით დავუბრუნდები მუშაობას

ქსანის კოლმეურნეობა „წითელ კოლექტივიდან“, სადაც მე თავმჯდომარე ვიყავი, მიმდინარე წლის აპრილში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიონულმა კომიტეტმა დამწინაურება პარტიის რაიონული კომიტეტის ზონის ინსტრუქტორად.

ეს დაწინაურება ბევრ რამეს მავალებდა. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად პარტრაიკომის ინსტრუქტორები ყოველდღიურ კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევდნენ თავის ზონაში შემავალ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

როგორ ვხელმძღვანელობდი ჩემს ზონაში შემავალ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, როგორ იყო დაყენებული იქ პარტიული მუშაობა?

მარტყოფის საინსტრუქტორო ზონაში, რომლის მომსახურება მე მიხდებოდა კურსებზე გაგზავნამდე, პარტიული მუშაობა, გულწრფელად უნდა ვთქვა, სუსტად იყო დაყენებული. მაგალითად, სოფ. მარტყოფის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული მეურნეობა არ იყო მოგვარებული. პარტიული საქმეები არ ინახებოდა ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი წესის მიხედვით და სხვ.

მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მარტყოფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პირველად პარტიულ ორგანიზაციაშიც. მე კი, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების უქონლობის გამო მაშინ საჭირო კონკრეტულ დახმარებას ვერ ვუწევდი მათ.

მაგრამ სულ სხვა იქნება ახლა ჩემი მუშაობა საინსტრუქტორო ზონაში. მეტად თვალსაჩინო ცოდნა და დიდი პრაქტიკული გამოცდილება მივიღე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილ ორთვიან კურსებზე. აქ შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძვლიანი გამოყენებით შევეცდები ჯახლოეს ხანში აღმოვფხვრა ჩემს ზონაში შემავალი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

კურსებზე ორი თვის განმავლობაში კარგად შევისწავლე საქ. კ. პ. (ბ) სახელოვანი ისტორია, რამაც დიდი ენერგია შემმატა მუშაობის უკეთ დაყენებისათვის; დიდი ყურადღებით მოვისმინე მსოფლიო ისტორიის კურსიც. დაუვიწყარი იქნება და ჩემს მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დათვალიერებისას, ხალხთა საყვარელი ბელადების ლენინისა და სტალინის დიადი რევოლუციური მოღვაწეობის მაუწყებელი დოკუმენტების დათვალიერებისას მიღებული შთაბეჭდილება.

ახლა ჩემი გადაუდებელი ამოცანაა აქ მიღებული თეორიული ცოდნა დავუკავშირო ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას და სამაგალითოდ დავაყენო პარტიული მუშაობა.

ი. ბაკურაძე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის ინსტრუქტორი.

ჩვენი პარტიის შემადგენლობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ხელმძღვანელ ფენებს, არის 3-4 ათასამდე უმაღლესი ხელმძღვანელი. ეს არის, მე ვიტყოდი, ჩვენი პარტიის გენერალიტეტი.

შემდეგ მიდის 30-40 ათასი საშუალო ხელმძღვანელი. ეს არის ჩვენი პარტიული ოფიცრობა.

შემდეგ მიდის დაბალ პარტიულ მეთაურთა შემადგენლობის 100-150 ათასი კაცი. ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენი პარტიული უნტეროფიცრობა.

ავამაღლოთ მეთაურთა ამ კადრების იდეოლოგიური დონე და პოლიტიკური გამოწრთობა, შევმატოთ ამ კადრებს ახალი ძალები, რომელნიც ელიან თავის დაწინაურებას, და ამგვარად გავაფართოთ ხელმძღვანელთა კადრების შემადგენლობა,—აი ამოცანა.

ი. სტალინი

პარტიული კურსების პირველი შედეგები

ორთვიანი კურსები (თბილისში) დაამთავრა რაიკომების 47 მეორე და მესამე მდივანმა, და რაიკომების 86 ინსტრუქტორმა, ხოლო ორკვირეული კურსები პარტკომთა 567 მდივანმა და პარტორგმა.

მსმენელებს იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლებაში დიდად დაეხმარა აგვისტოს რესპუბლიკური არალეგალური სტამბის, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალისა და გორში ამხანაგ სტალინის სახლის დათვალიერება.

მოვლენებულ ამხანაგებს მათს პრაქტიკულ მუშაობაში უსათუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს კურსებზე მიღებული ცოდნა.

მიუხედავად მიღწევებისა, კურსებზე ბევრი ნაკლიც იყო; ზოგიერთ ლექციებად ლექციების ცხრილი, არ იყო სოციალურ-ეკონომიური სავნებში (გარდა გეოგრაფიისა) არც ინდივიდუალური მსმენელებს შორის: ზოგიერთ საგანში არ გვქონდა ლიტერატურა და სხვ. შემდეგში ასეთი კურსების მოწყობისას გათვალისწინებული იქნება ყველა ეს ნაკლი და მუშაობის უკეთესად მოწყობით უზრუნველყოფილი იქნება კურსების უფრო ნაყოფიერი მუშაობა.

თ. ლოგვინიძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კურსების სასწავლო ნაწილის გამგე.

დაწინაურებს ახალი კადრები

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომმა უკანასკნელი თვეების განმავლობაში პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოებზე გაბედულად დაწინაურა ახალი კადრები—პარტიულები, კომკავშირელები და უპარტიოები. პასუხსაგებ სამუშაოებზე დაწინაურებულია 22 კაცი, აქედან პარტიის 14 წევრი, სამი კომკავშირელი და ხუთი უპარტიო. პარტიის წევრი ამხ. ილია ეფრემიძე 20-21 აგვისტოს. პარტმუშაკთა ორთვიან კურსებზე და პარტკომთა მდივნებისა და პარტორგების ორკვირეულ კურსებზე ყველა მივლინებული ამხანაგი თავიდანვე სერიოზულად მოეკიდა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ბრძოლას.

კურსებზე ყოველგვარი პირობები იყო შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის. სწავლობდნენ შემდეგ საგნებს: საქ. კ. პ. (ბ) ისტორია, პარტიული მშენებლობა, გეოგრაფია, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, სტალინური კონსტიტუცია, რუსული ენა და სხვ. ლექტორებად შერჩეული იქვნენ მაღალხარისხოვანი კვალიფიციური კადრები. პირველ ხანებში ადგილი ჰქონდა ლექციების გაცდენას, დაგვიანებას და სხვ., რაც გამოსწორებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უშუალოდ ჩარევით.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ პარტმუშაკთა ორკვირეულ კურსებზე პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი მთლიანად ამოწურულ იქნა. ამ კურსებს ჰყავდა ზოწიავე მსმენელები, რომლებმაც მაღალხარისხოვნად შეითვისეს გავლილი მასალა: ლალიაშვილი, ბუჩუკური, გამბაროვი, ბიბილაშვილი, რემსიწვერიძე, ხუბულოვი, ნუცუბიძე, წიკლაური, სტეფანიანი, მანულოვი, მაჰმედ მუხტიევი, იბად ჰაჯიევი და სხვები.

ორთვიანი კურსების მეორე ნაკადის მეცადინეობა დამთავრდება მიძე მუშაობდა ვანის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ, ახლა ის დაწინაურებულია საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მეორე მდივნად; ამხ. აკაკი ხურციძე მუშაობდა საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის ინსტრუქტორად, ახლა დაწინაურებულია რაიკომის მესამე მდივნად; ამხ. ლ. ბაღდავაძე იყო სალხინოს სოფლსაბჭოს თავმჯდომარე; იგი ამჟამად დაწინაურებულია საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის ინსტრუქტორად.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ფარცხალაძე და რაიკომის ინსტრუქტორები სისტემატურად ეხმარებიან ახლად დაწინაურებულ ამხანაგებს ადგილებზე და აძლევენ სათანადო რჩევა-დარიგებას მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ნ. თვალაბეიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კურსების ფრიადოსანი მსმენელები (რაიკომის მდივნების ჯგუფი)—მარცხნიდან მარჯვნივ: სილიბისტრო მიქაშავ[illegible] (ჭიათურა), მიტო გელაშვილი (მახარაძე), ალექსანდრა მენაბდე (ქედმო-სვანეთი), ვარლამ წვერავა (ზესტაფონი), დავით ჭახნაკია (ხაშური) და თედორე გაგუა (სოხუმი).

ფოტო რ. აკოფოვისა

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„პარჭიული მუშაობა მეივიწყეს“

„კომუნისტის“ 8 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო სათაურით „პარტიული მუშაობა მეივიწყეს“, რომელიც ეხებოდა თბილისის რაიონის სოფ. მუხრანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტორგანიზაციაში, მუხრანის ტერიტორიულ და ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის პარტორგანიზაციებში პოლიტსწავლების სუსტად დაყენებას.

როგორც საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის კულტპროპგანყოფილების გამგე ამხ. ცქიტიშვილი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები სავსებით დადასტურდა. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულია ზომები. მუხრანის მარქსის სახელობის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში სამჯერ გაცდენილი პოლიტმეცადინეობის ნაცვლად რიგ გარეშე ჩატარდა მეცადინეობა. მსმენელებს მიეთითათ პოლიტმეცადინეობის გაცდენის დაუშვებლობაზე, შემოღებულია დავალებათა რვეული და სხვ.

ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლისათვის რაიკომის ბიურომ პროპაგანდისტად დაამტკიცა ამხ. ა. ალავერდოვი, რომელიც უკვე შეუდგა მეცადინეობას. მუხრანის ტერიტორიული პარტორგანიზაციის პარტისტორიის შემსწავლელ წრეში მეცადინეობის გაცდენას ადგილი აღარა აქვს, პროპაგანდისტად იქ დამტკიცებულია ამხ. უ. მუმლაძე.

„რაჭიმ არ სურდება ჩაის კრეფის გეგმები“

„კომუნისტის“ 6 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი „რატომ არ სრულდება ჩაის კრეფის გეგმები“, რომელიც ეხებოდა ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას. წერილი ააშკარავებდა ზოგიერთ კოლმეურნეობაში შრომის მოუწესრიგებლობის, ჩაის კრეფის წესების დამახინჯებისა და უხეირო მუშაობის სხვა კონკრეტულ ფაქტებს.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი ამხ. ა. მელაძე გვატყობინებს: კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები სავსებით სწორია. ლენინის, ვოროშილოვის, მოლოტოვის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობათა, კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბრის“ სოფ. აჭის, ქაქუთისა და სხვა კოლმეურნეობების მიმართ, რომლებიც სახელობის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში სამჯერ გაცდენილი პოლიტმეცადინეობის ნაცვლად რიგ გარეშე ჩატარდა მეცადინეობა. მსმენელებს მიეთითათ პოლიტმეცადინეობის გაცდენის დაუშვებლობაზე, შემოღებულია დავალებათა რვეული და სხვ.

ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლისათვის რაიკომის ბიურომ პროპაგანდისტად დაამტკიცა ამხ. ა. ალავერდოვი, რომელიც უკვე შეუდგა მეცადინეობას. მუხრანის ტერიტორიული პარტორგანიზაციის პარტისტორიის შემსწავლელ წრეში მეცადინეობის გაცდენას ადგილი აღარა აქვს, პროპაგანდისტად იქ დამტკიცებულია ამხ. უ. მუმლაძე.

მოუსმინეთ დამსვენებლებს!

შოვში გაზეთები არ მოდის, შოვში რადიო არ მუშაობს, საკურორტო ზონაში საქონელი (ცხვარი, ცხენი, ღორი, ძროხა) დათარეშობს, ირგვლივ ანტისანიტარიაა. კურორტის მთავარი ექიმის მიხ. მინდაძის ცხვირწინ, პირველი სანატორიუმის ეზო ავსილია ნაგვით, ნამწვავებით, ჭაღალდებით.

სანატორიუმებში ჯანმრთელი და ავადმყოფი დამსვენებლები ერთად არიან, ერთ შენობაში, ერთ სუფრაზე სადილობენ.

ონის რაიონის ხელმძღვანელობა კურორტს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მაგრამ საყვედურის თქმა, რომ შოვში ონიდან არ ამოდიანო, არ შეიძლება. ყოველ მესამე დღეს მაინც ონიდან ამოდიან მანქანებით, გაივლ-გამოივლიან და ბრუნდებიან...

ამასწინათ დამსვენებლებმა გადასწყვიტეს დეპეშა გაეგზავნათ თბილისში იმ უმსგავსობათა შესახებ, რასაც ადგილი აქვს ამ კურორტზე, შოვიდან ეს დეპეშა გადასცეს ონს, ხოლო ონიდან თბილისში უნდა გადაეცათ მაგრამ... მოხდა დაუშვებელი რამ: რაიონის რომელიღაც ხელმძღვანელი მუშაკის განკარგულებით ეს დეპეშა (დამსვენებლებს ამ დეპეშის გადასაცემი ფული ხომ გადახდილი ჰქონდათ!) დაუკავებიათ და თბილისში არ გადაუციათ. ამგვარად დაიფარეს ხელი შოვის კურორტის ადმინისტრაციის უნიათობას, დამსვენებლებს არ მისცეს საშუალება მზის სინათლეზე გამოეტანათ აქაურ უმსგავსოებათა ამბავი.

კურორტის ხელმძღვანელობა ვერ ურიგდება თვითკრიტიკას. დირექციაში მომუშავე მოანგარიშეს ქეთო ცაგარელს თვითკრიტიკისათვის ყოვლად აუტანელი პირობები შეუქმნეს. როგორ გაბედე და ხმა ამოიღე, რომ ჩვენ ძმაბიჭებს ზოგჯერ კურორტის თანხებით ვეთამაშებითო. ბოლოს ამხ. ცაგარელი იძულებული გახადეს დაეწერა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

დამსვენებლებმა გადასწყვიტეს კიდლის გაზეთის გამოშვება, რომ იქ მაინც აღენიშნათ კურორტის ადმინისტრაციის უმგვანო მუშაობა. სარედაქციო კოლეგიას შემოეტმასნა მთავარი ექიმი მინდაძე და იმდენი ქნა, რომ თავის გემოზე გამოუშვა გაზეთი. დამსვენებლები არ უარჰყოფენ კურორტის ადმინისტრაციის მიღწევებს—სახერხი ჩარხნის გამართვას, რენტგენის კაბინეტის მოწყობას, პარკის კეთილმოწყობას და სხვა, მაგრამ ნაკლოვანებებიც უნდა ვამხილოთ. მხილების საშუალებას კი ყოველნაირად გვისპობენ.

ტ. ჯაბერლი.

თამარ მიქაძემ და თამარ კუჭარაშვილმა რეკორდი დაამყარეს

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშამ ამხ. თ. მ. მიქაძემ ფაბრიკაში მუშაობა დაიწყო 1934 წლიდან. ამხ. მიქაძე პირველად 30 თითისტარზე მუშაობდა, ერთი წლის შემდეგ იგი იწყებს 60 თითისტარზე მუშაობას, რაც საკავშირო ნორმად ითვლება.

სტახანოვური კურსების დამთავრების შემდეგ, მან განცხადება შეიტანა საამქროს უფროსთან იმის შესახებ, რომ მას განზრახვა აქვს იმუშაოს 80 თითისტარზე. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ის 60 ნაცვლად 80 თითისტარზე იწყებს მუშაობას.

თამარ მიქაძეს ფაბრიკის ადმინისტრაცია 1937 წ. სხვებთან ერთად ჰგზავნის მოსკოვში, სადაც იგი ეცნობა მოსკოვის აბრეშუმის ფაბრიკის „კრასნაია როზას“ ცნობილ ძველ მხვეველ სტახანოველ მუშა-ქალს მარია კოტოვას. მოსკოვში თამარ მიქაძე იღებს ვალდებულებას იმუშაოს 90 თითისტარზე.

ვინაიდან ფაბრიკა ორ ცვლად მუშაობს, მიქაძეს 80 თითისტარზე მომუშავედ შემცვლელი არავინ ჰყავდა და ამიტომ მუშაობა მეორე ცვლაში შეჩერებული იყო. მაგრამ თამარმა აქაც იპოვა გამოსავალი. მან თავის შემცვლელად ამოარჩია ფაბრიკაში ცნობილი სტახანოველი ქალი თამარ კუტარაშვილი, რომელიც 80 თითისტარზე მუშაობის ტექნიკას მალე დაეუფლა.

ამხ. თ. მიქაძე გეგმებს წარმატებით ასრულებს. მან მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა 123 პროცენტით შეასრულა, ხოლო ივლისის გეგმა შესრულებული აქვს 136 პროცენტით, კუტარაშვილს კი 112 პროცენტით.

ნ. იტრიევი

ჭიათურის მაღაროებში სოცშეჯიბრებას არ ხელმძღვანელობენ

(ჭიათურა, საქ. კორესპონდენტისაგან)

მარგანეცის მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს მეთაურები არ ზრუნავენ სოციალისტურ შეჯიბრებაზე და არც ხელმძღვანელობენ მას. სხვანაირად არ შეიძლება იმ სამარცხვინო მონაცემების შეფასება, რაც მარგანეცის მრეწველობას ამ დარგში აქვს.

1938 წლის იანვარში სოცშეჯიბრებაში ჩაბმული იყო მუშა-მოსამსახურეთა 79,1 პროცენტი. ეს რიცხვი ივნისში 70 პროცენტამდე დავიდა. იანვარში იყო 1301 სტახანოველი, ივნისში ეს რიცხვი 989-მდე შემცირდა. თუ იანვარში სოცკალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული მუშებიდან გეგმას 150-დან 250-მდე პროცენტით ასრულებდა 21,4 პროცენტი, ივნისში ამდენივე პროცენტით გეგმას ასრულებს მუშების 13,2 პროცენტი. თუ იანვარში გეგმას 200-დან 250-მდე პროცენტით ასრულებდა მუშების 4,2 პროცენტი, ახლა ეს ციფრი მხოლოდ 2,5 პროცენტს უდრის.

ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობისადმი ხელმძღვანელობა შენელდა. ქარხანა-მაღაროების დირექტორები, უბნის გამგეები და ცვლის უფროსები უგუნებელჰყოფენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას.

ლენინის სახელობის მაღაროში სოცშეჯიბრებაში ჩაბმული მუშების მიერ გეგმების შესრულების აღრიცხვა ქაოტიურ მდგომარეობაშია, სოცშეჯიბრების დაფები ხმარებიდან გამოსულია. მეორე კვარტალის შეჯიბრების შესამოწმებლად არ ჩაუტარებიათ ჟიურის სხდომა, არ ხდება მოწინავე მუშების დაჯილდოვება და სხვ.

მარგანტრესტის მმართველობა პასუხს არ სთხოვს იმ ამხანაგებს, რომლებიც ხელს უშლიან შეჯიბრების გაშლას.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას მეტად დიდი ვალდებულება აქვს აღებული ჩვენი ქვეყნის წინაშე. ამ ვალდებულების შესრულების ერთერთი მთავარი პირობაა სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის მაღალ საფეხურზე აყვანა. დროა შეიგნონ ეს ჭიათურის მაღაროების ხელმძღვანელებმა.

მ. გაფრინდაშვილი

რა მომცა კურსებმა

ვარ სტამბის მუშა, დაბალი გათლებით; წელს ამირჩიეს გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ სტამბის პარტორგანიზაციის პარტკომის მდივნად. პირველად მიხდება მუშაობა ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე.

სტამბის ორგანიზაცია არც ისე ბატარაა. მართალი რომ ითქვას, პირველ ხანებში შევფიქრდი, ვაი თუ თავი ვერ გავართვა მუშაობას-მეთქი. გული მაინც არ გამტეხია. ამხანაგები დამეხმარნენ და საქმეც წინ წავიდა. მუშაობა არ ჩაგვიფუშავს.

ივლისის შუა რიცხვებიდან საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა ქუთაისში მოაწყო ძირიული პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა გადასამზადებელი ხუთმეტდღიანი კურსები. ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ამ კურსებზე მეც ჩამრიცხა. კურსებმა უკვე დაამთავრა მეცადინეობა.

ჩვენი გამოშვება მოხდა პირველ აგვისტოს. სამართლე უნდა ითქვას, მიუხედავად მოკლე დროისა, კურსებმა დიდი ცოდნა და გამოცდილება მომცა სხვებთან ერთად მეც, როგორც საერთო მომზადების, ისე პარტიული მუშაობის მხრივაც.

ამ კურსების მეოხებით მე ნათელი წარმოდგენა მაქვს პარტიის ისტორიის ისეთ მომენტებზე, რომელიც დღემდე ნაკლებად ვიცოდი. გარდა ამისა, ჩვენ ვისწავლეთ გეოგრაფია. აქამდე მე წარმოდგენა არა მქონია კაპიტალისტურ გარემოცვაზე, პრაქტიკულად არ ვიცოდი რუკაზე სსრკ-ის საზღვრები. ახლა კი ნათლად მაქვს წარმოდგენილი. ამასთან ერთად, რაც მთავარია, მე ვისწავლე ამ კურსებზე თუ როგორ შეიძლება პარტიული მუშაობის სწორად დაყენება, როგორ უნდა პარტიული კრების ოქმის გაფორმება და მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებშიაც გარკვევა ასე საჭირო იყო ჩემთვის.

კურსებზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე მე მოვამზადე ერთი კრება, რამაც სავსებით დამარწმუნა იმაში, რომ წინათ თურმე ბევრი რამ არ მცოდნია. ზოგიერთი კომუნისტების „პასიობა“ თურმე ჩვენი ცუდი მუშაობის შედეგი ყოფილა.

გიორგი კოლუაშვილი.

გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის“ სტამბის პარტკომის მდივანი.

ეცნობიან მოწინავეთა გამოცდილებას

(ცაგერი, საქ. კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივამ მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილების გაზიარებისა და გამოყენების შესახებ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ცაგერის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში.

9 აგვისტოს საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის ხელმძღვანელობით შესდგა რაიკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორების და რაიონული გაზეთის რედაქციის მუშაკების თათბირი. თათბირმა დაამუშავა კონკრეტული გეგმა, თუ როგორ მოეწყოს მუშაობა პირველადს პარტ-ორგანიზაციებში მოწინავე პარტიულ ორგანიზაციათა გამოცდილების გაცნობისა და ამ საფუძველზე პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

11 აგვისტოდან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მუშაობის გამოცდილების გადატანის საკითხზე ტარდება ღია პარტიული კრებები. კრებებზე კომუნისტები ფართოდ განიხილავენ რაიონის მოწინავე პარტორგანიზაციების (საირმე, ზოგიში, გვირიში და სხვ.) გამოცდილებას, აგრეთვე გაზეთ „კომუნისტის“ უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულ მასალებს, რომლებიც თბილისის საწარმოთა მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობას ეხება. პარტიის რაიკომმა დაავალა რაიონული გაზეთის რედაქციას ფართოდ გააშუქოს მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობის დადებითი გამოცდილება.

გ. ყურაშვილი.

ალექსანდრა მენაბდე

საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომის მდივანი

დიდი სტალინის მითითებათა განხორციელების გზით

ამხანაგმა სტალინმა, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე წამოაყენა რა ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანა, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საკითხს.

ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„მე ვფიქრობ, ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები თავიდან ბოლომდე იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადასჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ჩვენი ამოცანების ცხრა მეათედს“.

ამხანაგ სტალინის ამ მითითების განხორციელების გზაზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ გადადგმულ იქნა ნაყოფიერი ნაბიჯი რაიკომის მეორე და მესამე მდივნებისა და რაიკომების, ქალაქკომების და ოლქკომების ინსტრუქტორებისათვის ორთვიანი კურსების მოწყობის სახით.

ამ კურსების მოწყობა სერიოზული დახმარებაა პარტიულ სამუშაოზე ახლად წამოყენებულ ამხანაგებისათვის.

ახლა, როცა მე, ამ კურსების მსმენელი, ვაჯამებ ორი თვის მუშაობის შედეგს, ვხედავ, რომ მივიღე გაცილებით მეტი ცოდნა და გამოცდილება, ვიდრე ამას კურსების დაწყებისას მოველოდი.

კურსებზე გავაღრმავეთ ცოდნა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში. ჩვენი პარტიის ისტორიული ბრძოლების თვალწარმტაცი ტილოები გადაშალა ჩვენს თვალწინ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დათვალიერების დროს. აქ ცხადად და უდიდესი სიმართლით ნაჩვენებია პროლეტარიატის ბელადების ლენინისა და სტალინის ბრძოლა სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის. ეს შთაბეჭდილებები წარუშლელია ყოველი ჩვენგანის მეხსიერებაში.

განსაკუთრებული ინტერესით ვისმენდით ლექციებს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. კურსების მსმენელთათვის გარკვეულ იქნა საერთაშორისო მდგომარეობის ყველა საკვანძო საკითხი.

პარტიული მშენებლობის საკითხების გულდასმით შესწავლამ მომცა საფუძველი პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის უკეთ დაყენებისათვის. კურსებზე მიღებულ იმ გამოცდილებიდან, რომელიც მინდა პირველ რიგში გავატარო ცხოვრებაში, დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე საკითხს.

ჩვენი, ისე როგორც მთელი რიგი სხვა რაიკომების, მუშაობის პრაქტიკაში ნორმალურად ითვლებოდა რაიკომის ერთ სხდომაზე ოცი-ოცდაათი და კიდევ მეტი საკითხის გარჩევა, სხდომის ღამის ორ-სამ საათამდე გაგრძელება და სხვ., რაც, ცხადია უარყოფით გავლენას ახდენდა საკითხების სწორად გადაჭრაზე, რაიკომის წევრების აქტივობაზე. მე ამ ნაკლის შესახებ რაიონში დაბრუნებისთანავე დავაყენებ საკითხს და რაიკომის სხვა მუშაკებთან ერთად უზრუნველვყოფთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითების მიხედვით რაიკომის სხდომების ორგანიზაციას.

პარტიული პროპაგანდის საქმეზე რაიკომის უშუალო ხელმძღვანელობა უკანასკნელ დრომდე სუსტი იყო. არ ხდებოდა წრეების დამტკიცება პირველადი პარტორგანიზაციის კრებებზე, პროპაგანდისტების შერჩევა სპეციალური კომისიების საშუალებით, არ მტკიცდებოდა თვითეული წრის მუშაობის კალენდარული გეგმა, რაიკომი კონტროლს არ უწევდა მეცადინეობის ხარისხს და პროგრამების შესრულებას. ჩვენი რაიონის პარტორგანიზაციაში დღემდე საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მხოლოდ ერთი წრეა. ჩვენი პარტორგანიზაცია გაიზარდა. კომუნისტების დიდი ნაწილი შეიძლება გადაყვანილ იქნან საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეში. ამიტომ ამ საკითხებს რაიონში დაბრუნებისთანავე მივაქცევ სერიოზულ ყურადღებას.

აგიტატორები და პროპაგანდისტები საჭიროებენ დახმარებას საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების გაშუქებაში. სვანი მშრომელებიც უდიდესი ინტერესით უსმენენ საუბრებს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. ამიტომ მე სისტემატურად ჩავატარებ საუბრებს აგიტატორებთან და პროპაგანდისტებთან საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, მოვაწყობ კითხვა-პასუხის საღამოებს, პოლიტდღეებს და სხვ.

ბევრი რამეა გასაკეთებელი პარტიაში ახალ მიღებულთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ჩვენ ყოველ ახალ მიღებულს უნდა მივუდგეთ დიფერენცირებულად, ყოველ მათგანს უნდა შევასწავლოთ საქ. კ. პ. (ბ) წესდება და პროგრამა და ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მომენტები. საჭიროა ყოველდღიურად ვამოწმებდეთ პარტიაში ახალმიღებულთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს. მას შემდეგ, რაც ჩავატარებ საუბრებს პარტიაში ახალმიღებულებთან პარტიის წესდების და პროგრამის საკითხებზე, მინდა მოვაწყო თეორიული კონფერენცია, კითხვა-პასუხის საღამო და სხვ., რაც კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს საქ. კ. პ. (ბ) წესდების და პროგრამის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისადმი.

ჩვენი რაიონის კომუნისტებს შორის ძალიან ბევრნი არიან ისეთები, ვისაც არ უნახავს საქართველოს დედაქალაქი. ამიტომ მინდა დავაყენო საკითხი კომუნისტების ექსკურსიის მოწყობის შესახებ თბილისში, რომ ისინი გაეცნონ ორდენოსან საქართველოს დედაქალაქს, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს. აგრეთვე განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ექსკურსია გორში და ვაჩვენოთ კომუნისტებს სახლი, სადაც დაიბადა პროლეტარიატის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. ეს გააფართოვებს მათს პოლიტიკურ ჰორიზონტს, გაზრდის ინტერესს ჩვენი პარტიის სახელოვანი ისტორიის შესწავლისადმი.

აი ზოგიერთი საკითხი რომელთა გატარებას ვფიქრობ კურსების დამთავრების შემდეგ.

დღეს ჩვენ მეცადინეობას ვამთავრებთ. მაგრამ მე მინდა დავაყენო ერთი საკითხი, მე ვფიქრობ ის სარგებლობას მოუტანს ჩვენი კურსების მსმენელებს. კარგი იქნება, თუ მოეწყობა ჩვენი კურსების მსმენელების შეხვედრა თბილისის პარტორგანიზაციების მუშაკებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. მართალია, ამის შესახებ იწერება პრესაში, მაგრამ ცოცხალი, კონკრეტული სინამდვილე უფრო მდიდარია. კარგია პროპაგანდისტის, აგიტატორის, პარტკომის მდივნის, რაიკომის ინსტრუქტორის, პროპესმინარის ხელმძღვანელის და რაიკომის მთელი მუშაობის გამოცდილების გაცნობა. ეს შეხვედრა ბევრ რამე საგულისხმოს მისცემს კურსების თვითეულ მსმენელს.

მეორე მხრით ჩვენ სასოფლო რაიკომების მდივნებს დიდად დაგვეხმარება, თუ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტი პერიოდულად მოაწყობს ლექციების სერიას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, ისე როგორც მიძღვნილ წლის აპრილში თბილისის პარტაქტივისათვის ჩატარდა.

კურსებზე მიღებულ მთელ ცოდნა-გამოცდილებას ჩვენ მთლიანად გამოვიყენებთ მუშაობაში და ყველა კომუნისტებთან — პარტიულ მუშაკებთან ერთად ვიბრძოლებთ პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ



ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲤᲝᲢᲝᲨᲔᲠᲘ: ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲬᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲬᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ

**ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕ